შენგელიას 4 გოლი

შავი ზღვის სანაპიროზე ჩამოსულ უმაღლესი და პირველი ლიგების ფეხბურთელთა გუნდებს, რომლებიც ლესელიძის, ადლერის, ხოსტის, გაგრისა და ალახაძის ბაზებს მომავალი სეზონისთვის მოსამზადებლად ეწვივნენ, ახლა უკვე "საქმიანი დღეები" დაუდგათ – ისინი მონაწილეობენ სსრ კავშირის თასის 1982 წლის გათამაშების პირველ ეტაპში. როგორც ვიცით, თავისუფალნი არიან ევროპული ტურნირების მონაწილე თბილისისა და კიევის დინამოელები. მათაც მზადების ცხარე დღეები აქვთ – 3 მარტს თბილისელები პოლონეთის "ლეგიას" ხვდებიან და ჩვენს გუნდს ახლა ძალიან გაუჭირდა "სპარინგ–პარტნიორის" შერჩევა ძლიერ კოლექტივებს შორის, ამიტომ იძულებულნი იყვნენ გუშინწინ შეხვედროდნენ არც თუ ისეთი მაღალი რანგის გუნდს – როვნოს "ავანგარდს". ეს იყო მათი ბოლო საკონტროლო მატჩი ლესელიძეში. დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია, ხიზანიშვილი, ჭილაია (თავაძე), ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია (სვანაძე), კაკილაშვილი, სულაქველიძე, ჟვანია, ყიფიანი (ცავა), შენგელია. მატჩი დინამოელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათივე დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა – 4:1. საგულისხმოა, რომ ოთხივე გოლი თბილისელთა მარცხენა გარემარბმა შენგელიამ გაიტანა. პირველად ეს ჟვანია–ყიფიანის ოსტატური კომბინაციის შედეგად მოხდა, რასაც "ავანგარდმა" აქვე გოლით (ჩირიკოვი) უპასუხა. მეორე ტაიმის დასაწყისში "დინამომ" პენალტის დარტყმის უფლება მიიღო და იგი ზუსტად გამოიყენა შენგელიამ. დასამახსოვრებელი იყო შენგელიას მესამე ბურთი, რომელიც მან თავზე გადაუგდო მეკარეს. ამის შემდეგ გაგრელმა მსაჯმა კოღუაშვილმა კიდევ ერთხელ მიუთითა ცენტრისკენ, საიდანაც "ავანგარდმა" განაახლა თმაში.

უ. ჭიჭინაძე (ჩვენი სპეც. კორ.).
"ლელო", 27 თებერვალი, 1982 წ.